წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებათ 35-40 საკითხი.

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი ,,უკან მიდევნებული ლამპარი“ და უპასუხეთ კითხვებს:

იყო ერთი მეფე მოსამართლე, მოწყალე და მდიდარი ურიცხვი. დაბერდა და შვილი ჰყვანდა კარგი. მისი მეფობა მას მისცა და უთხრა:

- შვილო ჩემო! ჩემ მაგიერ შენ იმეფე და, მე ვირემ ცოცხალ ვიყო, ჩემს სალაროს ხელს ნუ მიჰყოფ და რა მოვკვდე, ჩემი სულისათვის გლახაკს მიეც!

უსმინა შვილმან და ესრეთი სამართალი და სიკეთე გამოიჩინა, მამა ყოველთავე დაავიწყა და კარგად დაიწყო მეფობა. დღისით ცხენს არ შეჰჯდის, ღამით შეჰჯდის, წავიდის და ლამპარი უკან მიიდევნის, წინ არ გაიმძღვანის. უკვირდა ყოველსა კაცსა და ვერვინ აკადრა მოხსენება.

იკითხა ერთსა დღესა მამამან მისმან შვილისა: ვითარ მეფობსო? მათ ყოველივე მოახსენეს, მეფობისა ქება, ღამე სიარული და ლამპრისა უკან მიყოლა.

მოიყვანა მამამან და უთხრა:

_შვილო, შენი დიდი ქება მესმის და ღამით თუ სლვა გიყვარს, ლამპარი წინ წაიმძღვანო, იგი არ უმჯობესია, უკან ტარებასაო!

შვილმან მოახსენა:

_დღეისამდინ მე ვერა შემოგკადრე, თვარა მისთვის ვქმენი ეს საქმე, სალაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვანო და გლახაკს უბოძო, ისი სჯობს, თვარა მას უკან გაცემული უკან მიდევნებული ლამპარი იქმნებაო.

იამა მეფესა და ყოველივე გასცა. დაუმადლა შვილსა და თქვა: ყოველივე კეთილი სიცოცხლეში ქმნას სჯობსო და სიკეთის ქმნას დაეშუროსო.

1. როდის გამეფდა მემკვიდრე?
   ა. მამის გარდაცვალების შემდეგ.
   ბ. მამის სიცოცხლეშივე.
   გ. მამის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ.
2. რა არ უნდა გაეკეთებინა ახლადგამეფებულს?
   ა. მამის ქონება გლახაკთათვის უნდა მიეცა.
   ბ. მამის ქონება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა დაერიგებინა გლახაკთათვის.
   გ. მამის ქონება უნდა გაეცა მისსავე სიცოცხლეში.
3. მამის აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა გაჭირვებულთათვის მოწყალების გაცემას?
   ა. ამ გზით, განდგომილებს შემოირიგებდა.
   ბ. ეს სიკეთე მის სულს შეეწეოდა გარდაცვალების შემდეგ.
   გ. იგი ცდილობდა მოწყალე მეფის სახელი დაემკვიდრებინა.

4. რა უცნაურობა დასჩემდა შვილს?
   ა. საწოლში დაძინებას მინდორში მოსვენებას ამჯობინებდა.
   ბ. ყოველ საღამოს მამას ეახლებოდა და განვლილი დღის შესახებ ესაუბრებოდა.
   გ. ღამით ცხენზე შემჯდარი გზას წინ არ ინათებდა, მელამპრეს უბრძანებდა, უკან გაჰყოლოდა.
5. ვინ დაინტერესდა ახალბედა მეფის საქმიანობით?
   ა. მეზობელი ქვეყნის ხელმწიფე ბ. ვეზირი გ. მამა
6. როგორ განმარტა შვილმა უკან მიდევნებული ლამპრის ამბავი?
   ა. ახლადგამეფებულს არ უნდოდა ვინმეს ეცნო და ღამით სიარულს ამჯობინებდა.
   ბ. მან ლამპარი კეთილ საქმეებს შეადარა და აღნიშნა, რომ სიცოცხლეში გაღებული მოწყალება სულს უფრო შეეწევა.
   გ. ორივე პასუხი სწორია.
7. რა არის იგავის მთავარი სათქმელი?
   ა. გარდაცვალებამდე ანდერძი უნდა დატოვო.
   ბ. ადამიანები უნდა ვეცადოთ კეთილი საქმეები სიცოცხლეში ვაკეთოთ და სხვა დროისთვის არ გადავდოთ.
   გ. უმჯობესია, მეფემ მემკვიდრე თავისსავე სიცოცხლეში დასვას ტახტზე.

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:
შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

8. ,,კახელების <u>გულისგატეხა</u> ქართლსაც გადაედება!..“
   ა. იმედი ბ. იმედგაცრუება გ. გულისტკივილი
9. ,, მაგ <u>ურჩობით</u> მეფეს გავიწყრომებთ და მეტი არა გამოვა რა.“
   ა. თავნებობით ბ. მორჩილებით გ. სიამაყით
10. ,, ერისთავები <u>გაქვავებულსავით</u> იდგნენ საგონებელში ჩავარდნილი და ხმას ვეღარ იღებდნენ.“
    ა. თავჩაღუნული ბ. ნაწყენი გ. გაშეშებულნი
11. ,, პირველი წერილი ტკბილი იყო, ალერსიანი და იმედით გამამხნევებელი, მეორე – რჩევა-საყვედურებითა და <u>მუქარით</u> სავსე.“
    ა. დაყვავებით ბ. დაქადნებით გ. მლიქვნელობით

შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:

12. ,, მეფის ერთგულმა, ბატონის <u>მორჩილმა</u> და ქვეყნის მოყვარულმა გვარიც კი დააწინაურა, არათუ თავისი სახლი.“
    ა. მეგობარმა ბ. ვეზირმა გ. ურჩმა
13. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,,ერთადერთი <u>სამწუხარო</u> მისი ის იყო, რომ შვილი არა რჩებოდა.“
    ა. სადარდებელი ბ. საფიქრალი გ. სიხარული
14. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,,კოშკიდან თურმე გადმომდგარიყო <u>ახალგაზრდა</u> წერეთლის ქალი და სარკმელში უყურებდა გულისფანცქალით ამ ამბავს.“
    ა. მშვენიერი ბ. საამო გ. მოხუცი
15. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,,<u>წამიერმა</u> ჭირმა, დროებითმა უბედურებამ როგორ უნდა გაუტეხოს გული მორწმუნეს?!“
    ა. მარადიულმა ბ. უცაბედმა გ. დროებითმა

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

16. ,,ანგელოზმა ჩამოიარა“ ანუ
    ა. ხმაურია ბ. სიჩუმეა გ. სინათლეა
17. ,, ანკესზე წამოეგო“ ანუ
    ა. გაუმართლა ბ. მოტყუვდა გ. ითევზავა
18. ,, არც აცივა, არც აცხელა“ არ არის
    ა. დააუყოვნებლივ ბ. სწრაფად გ. ზამთარში
19. ,, არც ღვინო, არც წყალი“ ანუ
    ა. მარდი ბ. მოწყალე გ. უხეირო
20. ,, აუტკივარი თავი აიტკივა“ ანუ

ა. გაცივდა ბ. გააზვიადა გ. ცუდ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი